ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 139

8 მაისი

"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ " სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2015 წლის 01 მაისის N5/25010 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს " მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ N01.10.18.006.079 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 10000 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შემდგომში ლაზებისათვის გადაცემის მიზნით , ეთნოგრაფიული ლაზური სტილის სახლების ასაშენებლად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი